საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №107
2025 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 140130000.22.034.016246) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის:

1. **პირველი მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3^1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე კანონის მოქმედება სამინისტროს მოსამსახურეზე, როგორც სპეციალური ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის სუბიექტზე, ვრცელდება მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 51-ე, 64-ე, 66-ე და 103-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის სხვა საკითხები წესრიგდება ამ წესით დადგენილი სპეციალური ნორმებით, აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.“.

2. **მე-7 მუხლის**:

ა) **მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს**;

ბ) **მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. სამინისტროს მოსამსახურის მიერ რაიმე ანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად დადგენილია შემდეგი შეზღუდვები:

ა) სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს, სამინისტროს საჯარო მოხელესა და სსიპ-ის სამოქალაქო პირს არ აქვს უფლება, ეკავოს სხვა თანამდებობა იმავე დაწესებულებაში ან/და სხვა საჯარო დაწესებულებაში (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვისა) ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში, ან იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში, გარდა ამ წესის 7^1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება არ აქვს ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი და სპორტული საქმიანობებისა და საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობისა) საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში, სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, იმ საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50%-ს

ან მეტს ფლობს/ფლობენ სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში.“;

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5[1] პუნქტი:

„5[1]. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ საჯარო სამსახურში, აგრეთვე, იმავე დაწესებულებაში ან/და სხვა საჯარო დაწესებულებებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შეთავსებითი ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებისას, მხოლოდ მინისტრის ან მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე სხვა პირის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე.“.

3. **7[1] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი**:

„4. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა ამ წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის 5[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მხოლოდ მინისტრის ან მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე სხვა პირის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე.“.

4. **35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამსახურიდან დათხოვნა ხდება სამსახურის ვადის გასვლის გამო, ასევე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით, გარდა „დ“, „ე“, „ვ“, „პ“ და „პ[1]“ ქვეპუნქტებისა.“.

5. **43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 43. სამსახურიდან დათხოვნა თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო

სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ იქნეს/გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო, ასევე „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევებში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გელა გელაძე**